№ 26.

# ივერია

წელიწადი პირველი

25 აგვისტ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. მეორე ხანა აწინდელის ომიანობისა.—II. საქართველოს მატიანე.—III. ომის ამბები.—IV. საპოლიტიკო მიმოხილვა.—V. თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის სამღვდელოთ ყრილობა თელავში 1875—1877 წ.—VI. ისტორიულნი სიგელნი.—VI. განცხადება.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“ პირველის მარიამობ-სთვიდამ პირველს მომავალს იანვრამდე. ფასი ამ ხუთის თვისა სამი მანეთია.

## მეორე ხანა აწინდელის ომიანობისა

ომის დაწყებითვე რუსეთის საქმე, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან კარგად წავიდა როგორც მცირე აზიის საომარ ველზედ, აგრეთვე ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ. კავკასიის მხედრობას ცოტა-ღა უკლდა არზრუმამდე; დუნაიის მხედრობაც თითქმის ადრიანოპოლს მიადგა. მაგრამ მოვიდა ჟამი, ბედი გადატრიალდა და ომიანობის სურათი სრულიად შეიცვალა. ზივინის ომმა იძულებულ გახადა კავკასიის მხედრობა უკან დაწეულიყო და არამც თუ იმ ადგილამდე მისულიყო, საიდამაც დაიწყო თავისი მსვლელობა, არამედ ამ მხედრობის ერთი ნაწილი ჯარი (ღ.ნ. ტერგუკასოვისა) საზღვრის შიგნით უნდა შემოსულიყო. ამ ნაწილს მისი მოპირდაპირე ოსმალოს ჯარიც თან მოჰყვა და ერევნის გუბერნიაში შემოდგა ფეხი. პლევნასთან რომ ჩვენებმა ვერ გაიმარჯვეს ამასაც ის მოჰყვა, რომ რუსის ჯარს იქაც უკან უნდა დაეწია, თუმცა ბალკანიის მთის იქით გადასული იყო. ამ ჯარმა დასტოვა ენი-ზაგრა, ესკი-ზაგრა, კაზანლიკი და სხ. და ისევ ბალკანიის მთის ძირს მიადგა და აქ გამაგრდა, სახელდობრ, შიპკას და სხვა ადგილებში.

რად შეიცვალა ომის სურათი და რა შედეგი მოჰყვა ამ შეცვლას? ეს კითხვა ღირს შესანიშნავია და მის პასუხად მოგახსენებთ მხოლოდ იმას რაც სხვა, მეტადრე რუსეთის, გაზეთებში თქმულა. ომიანობის დასაწყისშივე თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ოსმალებთან ბრძოლაზედ ადვილი არ არის რა მეტადრე იმისთანა ძლიერ სახელმწიფოსთვის, როგორც რუსეთია. ამიტომ ყველა ადვილად უყურებდა ამ ომს და დარწმუნებული იყო, რომ სამი-ოთხი თვე საკმაო იქნება ოსმალეთის სულის ამოხდისათვის. „ოსმალო მშიშარა არისო და თვითონ თავისთავად ძნელად დაეცემა მტერს. მისი ძალა მხოლოდ იმ ციხე-სიმაგრეებშია და მთა კლდეებში. სადაც თავს შეიფარავს ხოლმე და უცდის მტრის მოდგომასაო. ამიტომ მტერმა თუ გზა აუხვია და ამ სიმაგრეებს ასცილდა, მაშინ ოსმალებს ძნელი საქმე მოუვათო, მით უფრო რომ ოსმალო მალე ჰკარგავს სასოებასაო. ყველა ამ მიზეზთა გამო ოსმალეთის დამარცხებისათვის სისწრაფისა და უეცრად დაცემის მეტი სხვა არაფერი არ არის საჭიროო.“ ასე ფიქრობდნენ მეთქი ომის დასაწყისშივე და თითქმის ამ აზრის მიხედვითაც მიმდინარეობდა ომის საქმე. პირველი მოთხოვნილება, როგორც მოგეხსენებათ, ამაში მდგომარეობს, რომ წინ მოძრავი ჯარი დაცული უნდა იყოს ორივე გვერდით და შეუწყვეტელი მიმოსვლა უნდა ჰქონდეს უმთავრესს ჯართან. ამ მოთხოვნილებას, არა დასდიეს რა და საკვირველის აჩქა-

რებით მიჭმართეს ბალკანიის მთებს, გადავიდნენ ამ მთებსაც და ამის გამო რუსის ჯარი მეტად გაიშალა. უნდა მოგახსენოთ, რომ უმთავრესი ყურადღება ბალკანის ნახევარ კუნძულზედ არის მიქცეული, რადგანაც ამ ომიანობის დედა-ძარღვი იქ მდებარებს, და ჩვენც დუნაის მხედრობას ვიქონიებთ სახეში, მით უფრო რომ ევროპისა და მცირე აზიის საომარ ველზედ ერთგვარი შეცდომა მოსდა. ზემოხსენებულს აჩქარებას ის შედეგი მოჰყვა, რომ რუსის მხედრობის მემარჯვენე ჯარს მოულოდნელი ჯარი დაუხვდა ოსმან-ფაშისა. ამით მთის იქით გარდასულს ჯარსაც შიში მიეცა, რადგანაც ოსმან-ფაშას შეეძლო მისთვის გზა გადაეჭრა და ბალკანის მთებში გაეფანტნა რუსის ჯარი. ოსმან-ფაშას გამარჯვებამ ცხადად დაანახა რუსის მხედრობას მისი საშიში მდგომარეობა და ის შეცდომა, რომელიც თავიდანვე მოუვიდათ რუსებს.

მართალია და საკვირველი სიმძლავრე და სიცხოველე გამოიჩინა ოსმალეთმა; მშვენიერი იარაღი, უშველებელი ჯარი და მოულოდნელი მედგრობა დაახვედრა მტერს. ვინ მოიფიქრებდა, რომ ოსმალეთის ღენერლები, რომელთ უნიჭობაზედ და უცოდინარობაზედ იმდენი რამ იყო თქმული, საკმაო ხერხს და მოსაზრებას გამოიჩენდნენ? სადღაა ის ოსმალეთი, რომლის სამოცი ათასი ჯარი, კარგად დაიარაღებული ვერ ასდიოდა თექვსმეტ ათასს რუსის ჯარს, ისიც უხეირო იარაღით აღჭურვილს? ზემოდ მოგახსენეთ, რომ ოსმალომ არ იცის თავისთავად მტერზედ დაცემაო, ეხლა არც ეს არის: ამას გვიმტკიცებს სულეიმან-ფაშა, რომელიც შიბკას დაეცა და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ განდევნოს რუსის ჯარი ამ ბალკანიის მთის უმთავრესის გარდასავლიდამ.

ოსმალეთის მოულოდნელს ხერხიანობას და მედგრობას ორგვარი შედეგი მოჰყვა: სამხედრო და საპოლიტიკო. წინაპირველად სამხედრო საქმის მიმართულება რუსების ხელში იყო; ოსმალეთის მოქმედება რუსის ჯარის მოძრაობაზედ იყო დამოკიდებული, რა ადგილსაც უნდოდა რუსის ჯარს, იქ გაუმართავდა ომსა. მაგრამ ეხლა კი საქმე — იმედი გვქონიოთ, რომ დროებით — სრულიად უკუღმა წავიდა. ეხლა პირ იქით რუსეთის ჯარმა თავისი მოძრაობა ოსმალოს ჯარის მოქმედობის მიხედვით უნდა მიმართოს. გარდა ამ უმთავრესის შედეგისა სხვაც მოჰყვა. რუსის ჯარს ჯერ-ჯერობით პირველს ხანს დიდი დაბრკოლება არ დაუხვდა ოსმალოს მხრით; ამის გამო რუსები დარწმუნებულნი იქნენ ოსმალოს უძლურობაზედ და დიდ მანძილზედ შევიდნენ ოსმალეთის ქვეყანაში. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა რომ, ოსმალებს წინადვე ჰქონიათ ეს გაანგარიშებული. რუსის ჯარი იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო, — მართალია დროებით, მაგრამ მაინც ამოდენა დრომ, მეცადინეობამ და ძალამ თითქმის უქმად ჩაიარა.

ახლა სხვა გვარ შედეგს დავხედოთ. ჯერ წარმოვიდგინოთ იმ ადგილთა მცხოვრებნი ქრისტიანნი, რომელნიც ჯერ რუსებმა დაიჭირეს და მერე კი ხელმეორედ ოსმალების ჩაუვარდათ ხელში. რაღა თქმა უნდა, რომ გაბრაზებული ოსმალები ჯავრს იყრიან იმ მცხოვრებლებზედა, რომელნიც გადუდგნენ მათ და რუსებს მიემხრნენ, როცა რუსის ჯარი ძლევა-მოსილობით შევიდა ბოლგარიაში.

ძნელი წარმოსადგენია ის უბედურობა, რომელიც, მაგალითად, კაზანლიკისა, ენიზაგრისა, ესკიზაგრისა და სხვა ადგილთა მცხოვრებთა თავს გადახდათ, როცა რუსის ჯარი ამ ადგილებიდამ გამოვიდა და უკან დაბრუნდა.

გარდა ამისა ამ გვარ საქმეთა გარემოებას საკუთარივ საპოლიტიკო შედეგიც მოჰყვა. რუსეთს, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი მტერი და მოშურნე ჰყავს. ყოველი შეცდომა, ყოველი წაბორძიკება რუსეთისა ამ მტერთათვის მეტად გასახარელია. ევროპიის დიპლომატია დარწმუნებულია, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც ოსმალეთი ვერ აუვა რუსეთს, მაგრამ მეორეს მხრით აგრეთვე დარწმუნებულია, რომ რამდენადაც რუსეთს ოსმალო გაუსწორებს ომსა, იმდენად რუსეთს ნაკლები ერგება საქმის დაბოლოების დროს. იქნება ამის გამოც ცოტად თუ ბევრად შესწყდა ის მუქარა, რომელიც აქამდისინ ისმოდა, მაგალითებრ, ინგლისიდამ და ავსტრიიდამ. თუ ასე, მაშინ ადვილი გასაგებია ის აწინდელი პოლიტიკა აღმოსავლეთის საქმის შესახებ, რომელიც ეხლა მიმდინარეობს ევროპიის სახელმწიფოთა შორის და რომელზედაც ბევრი თქმულა „ივერიაში“.

ეხლა კი საქმე ჩვენი უნდა კარგად წავიდეს, რადგანაც მთავრობა დიდ-ძალს ჯარს თავს-უყრის ბალკანიის კუნძულზედ და იმედია რომ ამ მოკლე ხანში ამ ახალს დაწყობილებას გამარჯვება მოჰყვება.

## საქართველოს მატიანე

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

„ივერიის“ № 25-ში დაბეჭდილი იყო მცირედი ცნობა მასზედ რომ სამს ოსმალოს რუსის სალდათის ტანისამოსით კახეთი გაუვლია და ლეკებში გადასულან. აი ამ საგანზედ ეხლა რასა გვწერენ:

„ამ მოკლეს ხანში, რუსის სალდათის მაგვარათ ჩაცმული, სამი ოსმალო გადაგიდა თურმე ლეკებში. დიდოში. პირველათ ისინი ენახათ ახატელში (თათრის სოფელია თელავის მაზრისა). ერთს იმათგანს, თურმე რუსული სცოდნოდა, —დანარჩენნი სულ-გატრუნულნი თურმე იყვნენ. რა მისულიყვნენ ახატელში მოესხნათ თოფები, დაეწყოთ წესიერათ,—მოეთხოვნათ მამასახლისი და ეთქვათ: „ხვალ რუსის ჯარი მოვა და სურსათი მოუმზადეთო.“ იქნება სხვაც ბევრი რამ ეთქვათ,— მაგრამ ვერ გავიგეთ. აბა ახატლური თათრები რას გასცემდნენ? მეორე დღეს გასულიყვნენ ნაფარეულში, იქიდამ მემცხვარეებს ესტუმრნენ, ერთი ღამე ნაფარეულის მთაში—მემცხვარეებთან დარჩომილიყვნენ და შემდეგ გადასულიყვნენ დიდოში. რასაკვირველია სა-ქეთილო საქმისათვის არ იყვნენ ისინი მოსულნი, მაგრამ საოცარი არის, ის რომ ამოდენა გზა ას: მშვიდობიანათ გამოიარეს,—გუშაგები და ყარაულები კი ყველგანა დგანან მგონია. ამ დღეებში შავიტყეთ რომ ვითომც ხიტრა ხოლოებს (დიდოელების სოფელია) იმათი დაჭერა დაეპირებინათ,— გასხმალიანებოდნენ, და გაქცეულიყვნენ. ხიტრა ხოლეები დასდევნებოდნენ. დაეჭირათ, მაგრამ ამ ამბავში ორი ლეკი მოეკლათ, ერთი ოსმალოთაგანი გაქცეულიყო, ორი კი დაეჭირათ. დრო არის თვალები გაახილონ იმათ, რომელთაც საყარაულო ადგილები ჩაბარებული აქვთ. ეს ამბავი პირველი არ არის,—წინათაც მომხდარიყო. ეს ოსმალების სოფლები თურმე იყვნენ შამილის შვილის ჯარიდამ.

ქიჩოელი.

---

რაჭა. რისაც გვეშინოდა, კიდეც ასრულდა. ონის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის რჩეულსა და გამგებლობას შორის მოხდა უთანხმოება. ჩვენ არ ვიცით მიზეზები უთანხმოებისა. ეს კი ცხადი შეიქნა ყველასთვის, რომ უფ. სერქეპუტოვსკიმ, თავმჯდომარემ რჩეულისამ, შეიტანა გამგებლობაში თხოვნა, რომ მას აღარ სურს დარჩეს ამ თანამდებობის აღმასრულებლად. ამ გარემოებას არა ვითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ მომხდარიყოს ერთს ან ორ წელიწადს შემდეგ. ეხლა კი სულ სხვაა. ეხლა როდესაც ამხანაგობის ადებ-მიცემობა ჯერ აქამომდე ათას მანეთამდისა ვერ მისწევულა და ოჲით ამხანაგობას ჯერ ნდობა არმოუპოვებია გლეხთაგან, წესები საქმის წარმოებისა არც გამორკვეულა, არც შედგენილა გამგებლობისგან და არც დამტკიცებულა რჩეულისაგან, ერთის სიტყვით, მაშინ როდესაც ამხანაგობა თითქმის პირველ შობის დღეშია და ფეხის ადგმას აპირებს, მაშინ უთანხმოება და მეტადრე იმისთანა, რომელსაც შედეგათ მოსდევს თავმჯდომარეს სამსახურიდან გამოსვლა —საშიშარია ამხანაგობის მომავლისთვის. ჩვენ ძალიან ვკვირობთ, რათ მიიღო უფ. სერქეპუტოვსკიმ წინეთვე ანუ დასაწყისვე მონაწილეობა, თუ ეს ესწადოდა. კრება ამ თხოვნის მოსასმენლად იყო დანიშნული 7 აგვისტოს და გადიდვა 14-სათვის, რადგან არც თავმჯდომარის თანაშემწე დაესწრო. ეხლა ამხანაგობას აქვს დიდი იმედი მამა ალექსი გიორგობიანისა, რომელსაც უპირობენ ამორჩევას თავმჯდომარეთ. დიდათ პატიოსანი და ყველა რაჭველთ მიერ პატივსაცემი კაცი ბრძანდება მამა ალექსი გიორგობიანი; მასთან გავლენაც აქვს. ყოველი ეს ვითარება საკმაოა, რომ მას არ ასცილდეს თავმჯდომარეობა და იმედიც გვაქვს, რომ საქმე ასე გათავდება. დაარსების დროსაც და მერეც მამა ალექსიმ აღმოუჩინა ამხანაგობას დიდი თანაგრძნობა; მარტო ის რათ ღირს ამხანაგობას, რომ მან მაშინ, როდესაც გამგებლობამ არ იცოდა რითი დაეკმაყოფილებინა ყველა თხოვნა მსესხებელთა შეიტანა სასარგებლოდ ს ა მ ა ს ი მანეთი $4^{0}/_{0}$·იანის ამხანაგობამ დაიწყო თავისი მოქმედება მხოლოდ იმ წილის ფულით, რაც მოგროვდა ამხანაგობის წევრთაგან. წინ დაწყებითი სესხი არ აუღია. ამიტომაც ეგ სამასი მანეთი დიდი შეძლეობა იყო ამხანაგობისათვის. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვისურვებთ, რომ ამ ამხანაგობას უდროოთ ბოლო არ მოეღოს, სხვა არა იყოს რა სირცხვილი დაგვემართება,—და ეს უფრო სამწუხარო იქნება ერთი მით, რომ გამგებლობას შეადგენენ კარგი გამოცდილი და მცოდნე

ჭირნი, რჩევას აგრეთვე; მეორე მით, რომ საზოგადოთ ის წევრნიც, რომელთგანაც შესდგება თვით ამხანაგობა, გონების გახსნილობით უფრო მაღლა სდგანან, ვიდრე სხვა სოფლელები. ამათ რიცხვში ურევიან: ვაჭრები, ჩინოვნიკები, მოხელეები და გლეხებიც იმისთანანი, რომელთაც სხვა ქალაქები უნახავთ, თფილისში, ქუთაისში ფოთში და სხვაგან უმუშავნიათ, უცხოვრნიათ და ამის გამო მიხვედრილნი არიან. მე ვალად ვსთვლი შევნიშნო ისიც, რომ უმეტესი ნაწილი ამხანაგობის წევრნი დიდათ უკმაყოფილოთ არიან, რომ ორმა გამგებლობის წევრმა თავიანთათვის კი ჩქარა გაიხსნეს ნდობის გზა სესხის მისაცემად, მაშინ როდესაც თხოვნის სიაში მრავალი გლეხნი არიან ჩარიცხულნი და ერთ თვეზე მეტია წლის ფული შეტანილი აქვსთ და სესხი კი ჯერ ვერ მიუღიათ. ამ გარემოებას უფრო ვიდრე რომელსამე სხვას შეუძლიან დააფთხოს ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი და დაამლევინოს თვისი განძრახვა წევრად ამხანაგობაში შესვლისა. მე არ ვსთვლი უადგილოთ გავიხსენო ის გარემოებაც, რომ ამ ამხანაგობის საქმის წინწასვლისათვის მოწინააღმდეგებს ბევრს ვხედავთ და ეს კი არ ვიცი, საფუძველი რა აქვთ ამ წინააღმდეგობისა. მათ შორის მივათითებ უფ. ყარამან ჯაფარიძეზე, რომელიც თვითონ ამხანაგობის წევრია. რათ ისურვა ამ დალოცვილმა ამხანაგობის დამაფუძნებელთ წრეში გარევა, თუ ამას უხეირო, ანუ საზარალო საქმეთ ჰსთვლიდა. ნეტა მითხრა რა მიუძღვის წინ, რომ ხმა მაღლა ურჩევს გლეხ-კაცთ ამხანაგობაში მონაწილეობას ნუ მიიღებთო, ფულები შეგეჭმებათო; თუ გადასაყრელი ფული გაქვთო, აი გლახებს დაურიგეთო. უფ. ყარამან ჯაფარიძე! თუ თქვენ გაქვთ საფუძველი, რომ ამხანაგობის საქმე ცუდათ მიდის, თუ თქვენ, რომელსამე გამგების წევრს, ან რჩევისას ხანდო პირათ არა ჰსთვლით, ის არა სჯობია გამოაცხადოთ კრებაში და დაამტკიცოთ. იმ მავნე პირთ მოგიშორებთ და საქმეც საქმეთ წავა. თუ თქვენი მისი გეშინიანთ, რომ მართალს აზრს ვერ გაიყვანთ კრებაში (თუმც სცდებით ამაში)—გარნა ამის წამლად გლეხებს ნუ კი უშლით ამხანაგათ შემოსვლას, პირიქით ურჩიეთ და შეიძინეთ მომხრეთ უმრავლესობა. ზურგით-უკან, დაფარულად მოქმედობა უკადრისია.

ძეგლეველი გლეხი.

---

რაჭა ამას წინეთ გწერდით კარგს მოსავალზე და გამზობდი დარები გვეჭირვება მეთქი. სურვილი აგვისრულდა, მაგრამ გადააჭარბა უზომოთ. აგვისტოს პირველს რიცხვებამდის საშინელი სიცხეები დადგა და სიმინდის მოსავალი, გვალვის გამო, ხელიდამ წაგვივიდა. ღვინისთვისაც საშიშარი იქნებოდა, რომ აგვისტოში მაინც არ მოსულიყო წვიმა. ამასთანავე ქვეყნაზე უსაშინელესი სტუმარნი ეწვიენ რაჭას საქონლის ჭირი და მუცელგვეთილი; მცირედა მოიპოვება სოფელი, რომელშიდაც არ იხოცებოდეს საქონელი ჭირისაგან და ადამიანი მუცელგვეთილისაგან. გლეხებს შიში ათრთოლებს, პური საღეწავია, ყანები დასახნავია, საქონელი, ომიანობის მიზეზით, მცირეა. ამავე ომიანობას აბრალებს ილაჯ გაწყვეტილი გლეხიკაცი საქონლის ჭირსაც. ამ ზაფხულზე გაუწყვეტლად მოჰყავდათ მინდვრებიდან მამისონის მთით რაჭაზე, ოზურგეთისკენ, დიდძალი საქონელი და ცხენები. ამ ჯოგებში ჭირისაგან დახოცილი საქონელი რჩებოდა საძოვრებზედ, რომელთზედაც გავლით იდგომიდებოდნენ ხოლმე. ამ საქონელს დროზე დამმარხველი არ უჩნდებოდა და შედეგი ამისი ეხლა ყველასათვის ცხადია. გვეგონა რაჭაში ომი ბევრს არას გვაზარალებდა, მაგრამ რა გაეწყობა. თუ ადმინისტრაციამ ან სხვამ ვინმე, ვისზედაც ეს არი დამოკიდებული, რაიმე ზომა არ მიიღო ამ უშველებელის უბედურების შემსუბუქებისთვის, რაჭას საგაისოდ შიმშილობა მოელის. ამას წინეთ გლეხ-კაცს ოქროს ფერ—ყანების მაყურებელს, პირმცინარედ, ღიმილ მოუშორებელათ ვხედავდით; ეხლა კი თავ ჩაღუნული ღრმათ ჩაფიქრებული დადის. განა, რომ გულ დასათუთქავია, როცა ხედავ ამ გვარს გაჭირვებას და შველა კი შენს ხელთ არ არის!..

მეგლეველი გლეხი.

---

კავთისხევი. 31 მკათათვეს კავთისხევის სასამართლო კანცელარიასთან შეკრებულიყო ხალხი და ერთი ახირებული ყაყანი გაემართათ. როგორც შემდეგ შევიტყე შკოლის თაობაზე ჰქონიათ მოლაპარაკება. ვიდრე მამასახლისი მაზრის უფროსის ბრძანებას ხალხს გამოუცხადებდა შკოლის დაარსების თაობაზედ, კავთისხევის მღვდელი, როგორც მითხრეს, დავით იასონის ძე ბარნაბიშვილი, ხალხში დადიოდა თურმე და ჩუმათ ასე არიგებდა: „რად გინდათ იმისთანა

შკოლა, რომლისთვისაც საჭირო იქნება უეჭველათ ბაღი, კარგი შენობა და მასწავლებლისთვის ორმოცამდინ თუმანი ფული? თქვე ბედოვლათებო, შკოლა არ არის მე მაქვს—არც ფული გაქვთ მასწავლებლისთვის, არც ბაღია საჭირო და არც შენობა თქვენ იმ შკოლის შენობის მაგივრათ—რო მე ამიშენოთ სახლი ამას არა ემჯობინება რა, მაშინ სულ მთლათ განთავისუფლებულნი იქნებით ყოველის ხარჯისაგან: თქვენთვინ შკოლაც გექნებათ და მასწავლებელიც გეყოლებით; მე მგონია ვინც უნდა მასწავლებელი მოვიდეს მე ვერ მაჯობოს—მე დღეს კაცი „კურსოვნიკი" მღვდელი ვარ, მე ვინ წამამადგება წინა! თქვენ სრული უარი ეხლავ უნდა გამოუცხადოთ, თორე მერე რაკი დაგიმტკიცდებათ თქვენი ნათქვამი, ვეღარას უშველით". ყოველს ჯგუფს გლეხებისას სიტყვა-სიტყვით ამას უქადაგებდა თურმე და სამწუხაროდ ამ გულშემატკივარმა მღვდელმა ისეთი გავლენა იქონია ხალხზე, რომ სულ მთლათ გადარია. მამასახლისმა რომ გამოაცხადა მაზრის უფროსის ბრძანება, ხალხმა არც კი დააცადა—ერთ ხმად ცხვარივით დაიბღავლა: „არ გვინდა შკოლა, შკოლა არ არის გვაქვს, ამაზე უკეთესი შკოლა ჩვენთვინ რა საჭიროა—ჩვენ ბაღისა და შკოლის შენების გაკეთებისა თავი არა გვაქვს—ან მასწავლებელს საიდან უნდა ვაძლიოთ ჯამაგირი? უფასო მასწავლებელი არ გვირჩევნიან. თუ ჩვენ ფული გამოგვივა, იმ ფულით ჩვენ მღვდელს ავუშენებთ სახლსა." ამ დროს სოფლის მწერალმა შენიშნა, რომ ეს სულ მღვდლის და ბარნაბოვის ბრალიაო და მღვდელი სახალხოთ დაითხოვა, სოფლის მოხელეთა თანხმობით, ხალხის ყრილობისაგან. წაბძანდა შინ ეს სახელოვანი მღვდელი. შემდეგ შკოლის მზრუნველთ, მწერლისა და მამასახლისის თანაშემწეობით, ხალხს დაუმტკიცეს აუცილებელი საჭიროება ამ სოფელში შკოლისა—ხალხი შემდეგ დაშოშმანდა. რამდენიმე კაცმა წარმოსთქვა, რომ ეს არეულობა მღვდლის ბრალი იყო. „თორემ ჩვენ ეგრე ღმერთი როგორ გაგვიწყრებოდაო, დაუმატა ერთმა ხანში შესულმა კაცმა, რომ ჩვენთვინ ავი და კარგი ვერ გაგვარჩიოთო." ხალხმა მოინდომა კვთისხევში შკოლის დაარსება და თამამათ ყოველის დაუბრკოლებლივ მოაწერა ხელი იმ განაჩენს, რომელიც ამის თაობაზე შესდგა და შემოწმებული მამასახლისისაგან და მსაჯულებისაგან გაიგზავნა მაზრის უფროსთან დასამტკიცებლათ.

1877 წ. მარიამობის 4-სა დღესა.

ილლელი.

---

## ომის ამბები.

ჩვენის მხედრობის უმთავრესი ძალი ახალს ადგილას დაბანაკებულა ქურუქ-დარიდამ მოყოლებული უჩ-ტაფამდე. კარაიალი და უჩ-ტაფა ჩვენს მიერ გამაგრებულნი არიან. მის იმპერატორის უმაღლესობის უმთავრესი სადგურიც იქ არის თურმე. მუხთარ-ფაშის მხედრობა ალაჯის მთიდამ გამოსულა და დაბანაკებულა კიზილ-ტაფიდამ და ინახ-ტეფესიდამ სობოტანისა და ხაჯივალამდე.

— 12 მარიამობისთვეს, ერევნის გუნდის ერთს წყობას ოსმალოს ჯარი დასცემია, მაგრამ ვერა გაუწყვიათ რა. 15-ს ოსმალოს ჯარი ხელმეორედ დასცემია, მაგრამ ჩვენებს გაუმარჯვნიათ და მტერი, რომელსაც ოთხასი კაცი დაჰკლოდია, უკანვე გაუბრუნებიათ. ჩვენ მხრივ მცირე ზარალია თურმე.

12-ს ოსმალები მეორე წყობასაც დასცემიან, მაგრამ აქაც ვერა გაუწყვიათ რა.

— 12 მარიამობისთვეს ოსმალები ქობულეთის გუნდის მოწინავე ჯარს დასცემიან, მუხა-ესტატეზედ მდგარსა. ცხარის ბრძოლის შემდეგ ჩვენებს ოსმალები გაუდევნიათ. ჩვენის მხრით 21 ჯარის კაცია მკვდარი; დაჭრილთა შორის პირუტყვთ ექიმი ლუბანსკია და 24 ჯარის კაცი.

— 16 მარიამობისთვეს, ღენერალის ალხაზოვის მოწინავე ჯარი 800 საჟენის სიახლოვეზედ დამდგარა იმ სიმაგრეების პირ-და-პირ, რომელნიც ოსმალების მიერ არიან აშენებულნი სუხუმის წინ. ოსმალებს ზარბაზნები უსროლიათ და ჩვენის მხრით ოთხი კაცი დაუჭრიათ.

— 12-ს და 14-ს ამ თვეს კურინსკის პოლკსა და პოლკოვნიკის ნაკაშიძის ჯარს ვედენში იჭყერის აჯანყებულნი მცხოვრებნი დაუმარცხებია. თუმცა აჯანყებულთ ბევრი ზარალი მისცემიათ, მაგრამ მაინც დამორჩილება არ უნდათო.

— თერგის მაზრაში, 18-ს ამ თვეს, ღენერალის სმეკალოვისა და პოლკოვნიკის ბატიანოვის ჯარს სრულიად

აულხრებით ერსენისა და ზინდაკის აულები და აჯანყებულთა ორი გუნდი დაუმარცხებიათ.

— 18 მარიამობისთვეს ოსმალები რუშჩუკის გუნდის მოწინავე ჯარს დასცემიან სოფ. კარახასანკიოის ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარი იძულებულ გამხდარა ისევ ბანაკში დაბრუნებულიყო. ჩვენის მხრით დაჭრილთა რიცხვი 400-მდეა.

— 13 რუშჩუკიდამ რვა ოსმალოს ბატალიონი გამოსულა და ჩვენი მოწინავე ჯარი კადიკოიდამ გაუდევნია, მაგრამ ჩვენებს ახალი ჯარი მიჰშველებიათ, და კადიკოი ხელახლად ჩვენებსვე დაუჭერიათ.

იმავე დღეს პლევნაშიაც ყოფილა ბრძოლა, როგორც ეტყობა გაცხარებული, რადგანაც რუსებს 600-მდე დაჰზარალებიათ (მოკლულნი და დაჭრილნი). ამ ომში ოსმალები დასცემიან, მაგრამ რუსებს იგინი გაუფანტავიათ.

— 20-ს ამ თვეს ღენერალს ალხაზოვს სოხუმი დაუჭერია, საიდამაც წინადამეს ოსმალოს ჯარი გასულა, ხომალდებში ჩამსხდარა და იქაურობისათვის თავი დაუნებებია. ორთა მებრძოლთა მხარეს რასაკვირველია სროლა ჰქონიათ. ჩვენის მხრით 8 მოკლული ჯარის კაცია და 49 დაჭრილი. ზოგს აფხაზებსა თოფ-იარაღი დაუყრია და ჩვენებს დაჰმორჩილებიან, ზოგიცა ოსმალეთს გადასახლებულა.

— იმ ომში, რომელიც 19-ს აგვისტოს გაიმართა პლევნასთან, დაჭრილთა შორის ჩვენის მხრით 40 აფიცერია და 1,020 ჯარის-კაცი მკვდარია და დაჭრილი.

— ტფილისში დეპეშა მოვიდა რომ ტიერი უეცრად გარდაცვლილაო.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.** ძალიან ცუდ გუნებაზედ უნდა დაბრუნებულიყო მაკ-მაგონი ნორმანდიიდამ. თუმცა ოფიციალური გაზეთები სმა-მაღლა ჰყვირიან, რომ ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება მაკ-მაგონსაო, მაგრამ ყველა კორრესპონდენტები ამბობენ, რომ მაკ-მაგონს ხალხი მიეგებებოდა ხოლმე თურმე ძახილით: „რესპუბლიკას გაუმარჯოსო." საწყალი მაკ-მაგონი! ვინ იცის გულში რა რიგად იყვედრება, — ამ მინისტრებმა რა ყოფაში ჩამაგდესო, თვითონაც არ იციან რა უნდათო.

ამ მინისტრებს ეტყობათ თვითონაც სასოება დაჰკარგვიათ თავის საქმისადმი. ერთი ამბობს მე კლერიკალობა არა მწამსო და კლერიკალების საქმე და ჩვენი საქმე სულ სხვა არისო. ამაზედ კლერიკალები რასაკვირველია განცვიფრებულნი არიან, რადგანაც აქამდისის ყველა დარწმუნებული იყო, რომ კლერიკალობამ ამოქმედა მაკ-მაგონი 16 მაისს, და ეხლა მისი მინისტრები მადლს ასე უხდიან. მეორე მინისტრი ამბობს, რომ ჩვენი საქმე რესპუბლიკის დაცვა არისო და მაკ-მაგონმა მხოლოდ წესიერება დაიცვაო, რომლისაც ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობა ემუქრებოდაო. ყველა ამ გვარი ლაპარაკი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თვითონ მინისტრები დარწმუნებულნი არიან, რომ დამარცხებულნი გამოვლენ მათ მიერ ატეხილის ბრძოლიდამ და ცდილობენ სრულიად თავი არ შეირცხვინონ და მომავალ არჩევანში ცოტა რამე ირგუნონ მაინცა.

— პარიჟში ხმა გავარდნილა ვითომ არჩევანი 23 სეკტემბერს მოხდებაო და არა 14 ოკტომბერსაო, როგორც წინად იყო ნათქვამი. რესპუბლიკელთათვის ასრასაკვირველია სულ ერთია, რადგანაც მათი ერთობა და მტკიცე იმედი მომავალზედ უცვლელია.

— მთავრობას გადაუწყვეტია გამბეტის დასჯა იმ სიტყვისათვის, რომელიც წარმოთქვა მან ლილში. ბევრჯელ წარმოუთქვამს გამბეტას ამისთანა სიტყვა, მაგრამ ეხლა მთავრობას მით სარგებლობს, რომ გამბეტა დეპუტატი აღარ არის და სრული უფლება აქვს დასჯისა.

---

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრო-ვენგრიას დიდძალი ალაგი ერგო აწინდელს პოლიტიკაში. ეს გარემოება სხვათაშორის იმაზედ არის დამყარებული, რომ ავსტრო-ვენგრია სხვა და სხვა ტომის ხალხთაგან არის შემდგარი, რომელთაც აწინდელი ომიანობა სხვა და სხვა იმედს უღვიძებს და მოძრაობაში მოჰყავს. მრავალს ადგილას თავს იყრის ხალხი ავსტრო-ვენგრიაში, და ყველგან აღმოსავლეთის ომიანობის თაობაზედ თავის საკუთარს დარდსა და გულის წადილს აცხადებს. ვენგრიელებმა, ხორვატებმა და სხვა ყველამ ისარგებლა აღმოსავლეთის საქმით და გააგონა მთავრობას თავისი აზრი. რიგი მოადგათ ავსტრო-ვენგრიის პოლიაკებსაც, რომელნიც გალიციაში სცხოვრობენ. პოლიაკების როლს აღმოსავლეთის საქმეში შემდეგში გამოვიკვლევთ თუ შეიძლება მოგვეცა, მანამდე კი მოგახსენებთ, რა ადრესი მიართვა გალიციის სეიმმა ავსტრიის იმპერატორს. ამ ადრესში სხვათა შორის მოხ-

სხენებულია მადლობა პოლიაკის გვარ-ტომობის დაცვისათვის და აგრეთვე პოლიაკურის ენის ხმარებისათვის სასწავლებელში და სხვა და სხვა სასამართლოებში. „ჩვენის ქვეყნის მადლობაო,—ამბობს ადრესი,—მით უფრო გულწრფელია, რომ . . . . . . . . . გალიციას უპირატესნი უფლებანი გვარ-ტომობისა გალიციის წარმომადგენელთ ყოველთვის სურდათ, რომ კანონ-მდებლობითი და ადმინისტრატიული თვითმმართველობა უფრო განლიერებულიყო; იგინი ცდილობდნენ თავის ქვეყნის საისტორიოს, საგვარტომოს და საეკონომიო სარგებლობის დაცვას, რომლის ძალით გალიციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონარხიაში. ჩვენ არ გვაწყენს როდესაც გალიციას ჩამოერთო უპირატესობა, რომელიც შეადგენდა მის თვითებას—ხოლო ჩვენ გვგონია, რომ მთავრობა არა გვწყალობს, და აი, ეს გვაწუხებს მხოლოდ.“

„უშიშრად შევყურებთ ჩვენ აწინდელს მძიმე საპოლიტიკო საქმეებს. ჩვენ გვსურს, რომ ძლიერმა იმპერატორის სიტყვამ მტკიცე გავლენა იქონიოს საქმეთა მიმდინარეობაზედ. მხოლოდ მაშინ დაარსდება ხანგრძლივი მშვიდობიანობა და თანასწორობა როდესაც ყველა ტომის ხალხს ერთგვარი უფლება მიეცემა.

„პოლიაკის ტომი საუკუნების განმავლობაში იბრძოდა წარმატებისათვის, განათლებისათვის და თავისუფლებისათვის. ასმა წელიწადმა გაიარა მას აქედ, მაგრამ ხალხს თავისი სიცხოველე არ დაუკარგავს, და ესლაც იმ აზრისაა, რომლისათვისაც ამოდენა მსხვერპლი დაუდვია. ჩვენი ქვეყანა დიდის აღტაცებით მიეგებება იმ განლიერებას, რომელსაც ავსტრია დაედებს გარეგან პოლიტიკაში“.

**სერბია** —ავსტრიის პოლიტიკა იმდენად გამოიცვალა, რომ არას ნაღვლობს, მიიღებს სერბია ომში მონაწილეობას თუ არა. ავსტრია, რასაკვირველია, დარწმუნებულია, რომ რაც უნდა მოხდეს სერბია ვერას გაიტანს, მეტადრე ავსტრიისას. მალმალ ისმის, რომ სერბია ომისათვის ემზადებაო.

აი რას იწერება **Сѣверный Вѣстникъ**-ის კორრესპონდენტი ბელგრადიდამ: „დენერალის ფადეევისა და ჩერნიაევის მოსვლა ცოტად თუ ბევრად გვიმტკიცებს, რომ სერბია ომში ჩაერევა. ძნელი საფიქრებელია, რომ დენერალი ფადეევი მხოლოდ საპოლიტიკო განზრახვით იყოს მოსული; უფრო საფიქრებელია, რომ თუ ომი ატყდა დენერალი ფადეევი იმ თანამდებობას დაიჭერს, რომელიც შარშან ჩერნიაევს ეჭირა. თუ ასე მოხდება, მაშ სერბიას კარგად ვერ უგრძნია თუ რას ნიშნავს უცხოეთელი მთავარ სარდალი. მაგრამ იქნება ეხლა სარდალის ძალა მისცენ ხელში, რა ძალაც ეპყრა ჩერნიაევს შარშანდელ ომში. თვითონ ფადეევმაც, თუ ჭკვიანი კაცია, არ უნდა იკისროს ეს თანამდებობა. დაე, საქმე თვითონ სერბიელებს მიენდოთ. სერბიელებს თუ დენერლები არა, კარგი პოლკოვნიკები და პოდპოლკოვნიკები ხომ ჰყავთ, რომელნიც დენერლებს არ დაუვარდებიან.“

---

## თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის სამღვდელოთ ყრილობა ქ. თელავში

(შემდეგი) (*)

უხვსა მორჩილობს ყოველი, ეგრეცა გინდ ურჩულია,
სმა-ჭამა დიდად შესარგია, დება რა სავარგულია?
რასაცა გასცემ შენია, რაც არა-დაკარგულია.

რუსთველი.

სამღვდელოთ ყრილობა $^{8}/_{9}$ მაისს 1876 წ. შესანიშნავად უნდა დარჩეს 1875 წელიწადი თელავის სასულიერო სასწავლებლის ისტორიაში, რადგანაც დიდი ჩხუბისა და ლანძღვა-თრევის შემდეგ ძლივს მოახერხა ადგილობრივმა სამღვდელოებამ მოსამზადებელი კლასის გახსნა. ამას, რასაკვირველია, შესაფერი მნიშვნელობა ექნება სამღვდელოთ განათლების ისტორიაში, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ აღნიშნულის მოსამზადებელის კლასის დაარსებით სამღვდელოებამ წადგა წინ მხოლოდ ერთი ბიჯი, თუმცა ამით მაინც არ შეუსრულებია მას ყველა ის მოვალეობა, რაც ზურგზედ აწევს ყველა კეთილ მზრუნველ მშობელს თავის შვილების აღზრდაში. სამღვდელოებას უნდა სცოდნოდა, რომ ამის შემდეგაც მათის შვილების გონებითი გაუკეთესება მოითხოვდა

---

*) „ივერია“ № 25.

მათგან სხვა შემწეობას—შეწირულობასაც, რომელზედაც ისინი უარს ვერ იტყოდნენ, თუ რომ თავიანთ შვილებისთვის მშობლიურის მზრუნველობის კანონებს არ დაარღვევდნენ. წარმოიდგინეთ, რომ სამღვდელოებას სურს ხელი მოუმართოს სასწავლებელს და შესაფერს შემწეობასაც არ დაიშურებს, თუ რომ ნამდვილი საჭიროება დაინახა, ამ შემთხვევაში შესანიშნი უნდა იყვნენ ის საჭიროებანი, რომლებზედაც ადგილობრივი მმართველობა (პრავლენიე) სასწავლებლისა სამღვდელოების ყურადღებას მიაქცევს. მოსამზადებელი კლასის გახსნის შემდეგ ბევრს მღვდელს ეგონა, რომ ეს არის შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა და ამის შემდეგ სასწავლებლისთვის შეწირულობაზედ ხმას ვერავინ გაგვცემსო.—რა თქმა უნდა, რომ ესენი ამისთანა ფიქრში მოტყუებულნი იყვნენ. როდესაც ერთის წლის შემდეგ დაინიშნა კიდევ სამღვდელოთ ყრილობა, რომელზედაც გვაქვს ჩვენ ეხლა საუბარი, მაშინ ნათლად გამოსთქვეს ზოგიერთმა დეპუტატმა, რომ ისინი სრულებით არ ელოდნენ, რომ სასწავლებლის მმართველობა მოითხოვდა მათგან ახალს შეწირულობას შარმანდელს გარდა. მომეტებული ამათგანი იმ აზრისანი იყვნენ, ვითომც სასწავლებლის მმართველობის წევრნი თავიანთთვის ითხოვდნენ შეწირულებას და არა სამღვდელოთ შვილების გონებითისა და ნივთიერებითის წარმატებისათვის. თუ რამდენი სიყმაწვილე და უმეცრებაა იხატება ამისთანა ჰაზრში, ამას თვით მკითხველი უკეთ დაინახავს. ჩვენ მხოლოდ ვუჩვენოთ ის, თუ რა საჭიროებაზედ უნდა მოელაპარაკნათ სამღვდელოთ თავიანთ ყრილობაზედ. ეს საჭიროებანი იყვნენ:

1) მოსამზადებელი კლასის მეორე უმაღლესი განყოფილების გახსნა,

2) პანსიონის დაწესება სასწავლებელთან,

3) სასწავლებლის ეზოს შემოზღუდვა გალავნით და

4) სასწავლებლის შენობის განშვენება.

დანიშნულს ექსარხოსისაგან რიცხვს, 8 მაის 1876 წ გამოცხადდნენ 15 დეპუტატი. თავმჯდომარედ, კანონისამებრ, ამოირჩიეს ყვარლის მღვდელი მიხეილ ვარდიევი, ხოლო საქმის მაწარმოებლად მღ. მ. ხელაევი. ზემორე აღნიშნული საგნები ყრილობამ განიხილა 8 ს მაისსვე, თუმცა ვერაფრით მაინც ვერ დააბოლოვეს. რომ წარდგენილნი საჭიროებანი ღირსნი იყვნენ აღსრულებისა, ამის წინააღმდეგ თითქმის არც ერთს დეპუტატს ხმა არ ამოუღია. საუბარი იმაზედ იყო, თუ რა წყაროდგან შევსწიროთ საჭირო ფულიო. ორი დღის 8 და 9 მაისის განმავლობაში ამაზედ ჰქონდათ ბაასი. ამ ბაასის დროს სასწავლებლის სასარგებლოდ და საზოგადოდ გონივრულად და წინდახედვით ლაპარაკობდნენ მღვდლები: პ. შიუკოვი, მ. ვარდიევი, მ. მირიანოვი, გრ. თუშუროვი, ი. მრევლოვი და განსაკუთრებით პირველი ამათგანი; შეიძლება ვსთქვათ, რომ ამას რომ იმ ხალისით და ერთგულებით არ ელაპარაკნა ამ ყრილობაში, იქნება ამ ყრილობას სულ უქმად ჩაევლო. ამის აზრი ის იყო, რომ მღვდლებს ერთი მესამედი ნაწილი თავიანთ ჯამაგირიდგან შეეწირათ სასწავლებლისათვის. ამის უსაფუძვლო მოწინააღმდეგედ გამოჩნდნენ გ. მრევლოვი და სტ. ფირანოვი. თუ ვისმე არ უნდა ამოეღო ხმა სასწავლებლის წინააღმდეგ, მე ვგონებ, უმეტესად ამ აღნიშნულ მღვდლებს, იმიტომ რომ ესენი თუ თავიანთ მოსაზრებით ვერ დააფასებდნენ აღნიშნულის შეწირულობის სიკეთეს და სარგებლობას, თავიანთ ნათესავ ბლაღოჩინებისაგან მაინც გაგონილი ექმნებოდათ გონიერი სიტყვა სასწავლებლის შემწეობის აუცილებლობაზედ. თავ-გამოდებით ლაპარაკობდა უფრო გ. მრევლოვი. (საჭიროა მკითხველმა იცოდეს, რომ გ. მრევლოვი არის შვილი ბლაღოჩინის დეკანოზის ეგ. მრევლოვისა, ხოლო სტ. ფირანოვი არის ძმა ბლაღოჩინისა, სოლ. ფირანოვისა). საზოგადო ხასიათი ამის ლაპარაკისა წინ წარმოგვიდგენს მუქუმწოვარა ანუ ახლად ენა ადგმულს ბალღს, რომელიც აღტაცებაში მოდის იმით, რომ სხვის გაგონილს სიტყვებს იმეორებს კაჭკაჭივით. რასაკვირველია ამისთანა პირი უფრო შესაბრალისია ვიდრე გასაკიცხი და ამისთანაც თვით განკიცხვაც უქმია, რადგან წინათვე იცი, რომ შენი ამ გვარი მოქმედება მისთვის უნაყოფოდ დარჩება. თუ ამისთანა აზრისანი იყვნენ ბლაღოჩინების მონათესავე მღვდლები, დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, რომ სხვები უფრო მცირე თანაგრძნობას გამოაჩენდნენ. მაინც ყველა დეპუტატები გაიყვნენ ორს ნაწილად: ერთს იმათგანს ჰსურდა მიელო ყველა ხარჯი, რაც კი დასჭირდებოდა სასწავლებელს, ხოლო მეორე უარზედ იდგა. შეიქნა ჩხუბი, ყაყანი, ყვირილი ამ ორ მხარეს შუა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ საქმე მაინც არა თავდებოდა არც კარგად და არც ავად, თუმცა ორი დღე იყაყანეს ზემორე აღნიშნულ საგნებზედ. ბო-

ლოს თავმჯდომარემ მიიწვია ადგილობრივი ზედამხედველი ყრილობის ოთახში იმ აზრით რომ იმის თანა დასწრებით მაინც იქნება გარიგებულიყო საქმე. ზედამხედველი შემოსვლისავე უმალ ყრილობის ოთახში, გაჩერდა კარებთან გაჩუმებული, რადგან ამ დროს მღვდლებს ისეთი ყვირილი და ალიაქოთი ჰქონდათ, რომ კაცს შესზარავდა. ამ მდგომარეობაში იყო ზედამხედველი იმ დრომდის, ვიდრემდის დეპუტატებმა ცოტ-ცოტად თვალყური არ მიაპყრეს ახლად შემოსულს უცხო პირს. როდესაც ცოტად დაწყნარდნენ, მაშინ ზედამხედველმა დაუწყო ფეხდგომელამ ლაპარაკი ყველა დეპუტატებს შემდგომის სახით: „მე მგონია, რომ თქვენა მოიხოვეთ შემოსვლა თქვენთან მოსალაპარაკებლად რომელსამე საგნებზედ სასწავლებლის შესახებ. მე ამ თქვენს წადილს დიდის სიამოვნებით აღვასრულებ, მაგრამ წინადვე გეტყვით, რომ თქვენში ისეთი არეულ-დარეულობა და უწესოება არის, რომ ძნელია თქვენთან ახლად შემოსულმა უცხო პირმა გაარჩიოს, თუ ვითარი წესიერება არის თქვენში, ვინა გყავთ თავმჯდომარე და რა რიგზედ სინჯავთ სხვა და სხვა საგნებს, რომლებიც თქვენ სასწავლებლის მმართველობამ გადმოგცათ. ამ ნაირი საზოგადო ყრილობები, მგონია ყველამ იცოდეთ, მარტო ჩვენში, საქართველოში და სამღვდელოებაში, არ არის; ეს წესი მთელს რუსეთში სხვა და სხვა წოდების ხალხში—გლეხობაში, თავადაზნაურობაში და სხვებში არის შემოღებული. როდესაც ამისთანა ყრილობის დროს ირჩევენ თავმჯდომარეს, ყველაგან ამას აქვს მინიჭებული შესაფერი უფლება შესახებ წესიერების დაცვისა და საქმეების განხილვისა. თქვენგან თავმჯდომარის უპატიურად მოქცევა არის თქვენივე დამცირება. მგონია თქვენ ამოგირჩევიათ თავმჯდომარედ მღვდელი მ. გარდიევი, რომელსაც უწესოების მიზეზით, ვერაფრით ვერ დაუბოლოვებია ყრილობის განსახილველი საქმენი. ჩემის ფიქრით კი, ამ საქმეს ჩხუბით და ერთმანერთის ჯიბრობით ვერ გაათავებთ, თუ დაწყნარებით და დამშვიდებით არ მოიფიქრეთ ყველა განსახილველს საგანსა. მე რომ ნებას მომცემდეთ თქვენს საქმეში გარევისას, ერთს საათშივე გაგითავებდით საქმეს, მაგრამ"....

ამ სიტყვების შემდეგ ყველა დეპუტატებისაგან მოისმა სურვილის ხმა რომ რიგი ჩამოვარდეს და საქმე ჩქარა დაბოლოვდეს და თვით თავმჯდომარემაც სთხოვა ზედამხედველს მონაწილეობა მიეღო ყრილობის საქმების განხილვაში „თქვენ, მგონია, ყველამ იცით, — განაგრძო ზედამხედველმა, თუ რა საგნების გულისათვის ითხოვს სასწავლებლის მმართველობა თქვენგნით შეწირულებას. მაინც კიდევ წავიკითხოთ ხელახლად სასწავლებლის მმართველობისაგან შედგენილი ერთი წლის ანგარიში (187⁶/₇ სამოსწავლო წლის განმავლობაში." კითხვისა და განხილვის დროს ზოგიერთი მუხლები შესცვალეს, მაგ. სქემით იყო დანიშნული ორი ზედამხედველი (надзиратель) მოსწავლეთათვის და ამათ ჰქონდათ დადებული 400 მ. ჯამაგირი. ყრილობამ ერთი ზედამხედველი უარ-ჰყო. საზოგადოდ ყრილობას დიდი ცვლილება არ მოუხდენია სასწავლებლის გამგეობისაგან წარდგენილს სქემაში; ამის წაკითხვის და შემოკლების შემდეგ, უნდა მოეფიქრნათ იმაზედ, თუ რა წყაროებიდგან შესწირონ საჭირო ფული? სამღვდელოებას უნდა შეეწირნა წარდგენილის საჭიროების დასაფარავად 3,259 მ. „ჩვენ შევიტყუეთ, — განაგრძო ზედამხედველმა, თუ რამდენი უნდა შესწიროთ ეხლა თქვენ ამის შემდეგ იმაზედ გმართებთ მოიფიქროთ, თუ რა წყაროებიდგან შეგიძლიანთ შეავსოთ ეს საჭიროება. ამასთანავე გეტყვით, რომ ამ ხარჯის დასაფარავად თქვენ გაქვთ მხოლოდ ორი წყარო—თქვენი ჯიბე და საეკკლესიო ფული. უმჯობესი იქნება შევიტყოთ ჯერ ის, თუ რამდენს გაიმეტებთ ამ სასარგებლო საქმისათვის თქვენის ჯიბიდგან." ამ დროს თავმჯდომარის და ზედამხედველის სტოლის ახლო იდგა ერთი დეპუტატთაგანი, სახელდობრ ი. ბიბილაუროვი, რომელსაც მოუბრუნდა და უთხრა ზედამხედველმა: „აი, მაგ., მამაო იოსებ, რამდენი შეგიძლიან შესწირო ნაჩვენების საჭიროებისათვის თქვენის ჯიბიდგან?" ამ დროს მოისმის ყაყანი სხვა დეპუტატებისაგან, რომელთაც ზედამხედველი სთხოვს სიჩუმეს, რადგან იმათი ლაპარაკის ჯერი ეხლა არ არის და თავის დროზედ კი შეუძლიანთ რაც უნდათ, ის სთქვან.

— თქვენ რას ბრძანებთ, მამაო იოსებ, — გაუმეორა კითხვა ზედამხედველმა. — მე იმ შვიდ მანეთზედ მეტი (იხილე აღწერა სამღვდელოთ ყრილობისა, რომელიც იყო 1875წ 19 სეკტემბერს) არ შემიძლიან შევსწირო. რომელსაც მე შარშანდლიდგან ვსწირავ, მიუგო მღვდელმა,

— წარმოიდგინეთ, მამაო, რომ თქვენ სწირავთ თქვენის შვილის ბედნიერებისათვის; თუ მამამ ვისთვისმე უნდა გაიმეტოს შეწირულობა, უმეტესად შვილისათვის უნდა გაიმეტოს; დავიჯეროთ, რომ თქვენ არ შეგიძლიანთ ერთი აბაზი, ან ერთი შაური მაინც მიუმატოთ იმ შვიდ მანეთს, რომელსაც თქვენა სწირავთ?

— კარგი ერთ თუმნათ შემიძლიან შევასრულო ჩემი შეწირულობა, სთქვა ბიბილაურმა, და ამით გაათავა თავისი ვალი.

ამის შემდეგ ზედამხედველმა სთხოვა აქ მჯდომ საქმის მაწარმოებელს (**ДѢЛО ПРОИЗВОДИТЕЛЬ**) დაენიშნა ქაღალდზედ აღნიშნული მღვდლის ჩვენება.

შემდეგ გამოუწოდეს სიით რიგზედ ყველა დეპუტატებს, რომლებთაგან ყველამ თავთავისი აზრი წარმოსთქვა შეწირულობაზედ. ამათი აზრი თვითეულად ინიშნებოდა ქაღალდზედ. მართალია ამათი აზრები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ საზოგადოდ ამათ პასუხებში ის იყო, რომ ერთი ნაწილი თანხმა იყო გაეღო ზემორე აღნიშნული ფული სასწავლებლის ოლქის სამღვდელოთ რიცხვზედ და ვისაც რამდენი შეხვდებოდა, შემოეტანათ დანიშნულ დრომდის, ხოლო მეორე ცივ უარს ამბობდა შეწირულობაზედ. უბედურობა ის იყო, რომ თანხმდებოდა შეწირულობაზედ მცირედი ნაწილი დეპუტატებისა, ხოლო მომეტებული უარს იძახდა. შემდეგ თავიანთ ჯიბიდგან შეწირულობისა, დეპუტატებმა აჩვენეს შემოსავლიანი ეკლესიები თავიანთ საბლაღოჩინოში და ყველას შეაწერეს შესახვედრი ნაწილი. განჩინება კიდეც შეადგინეს უპირველეს საგანზედ, საქმით მოთხოვნილ ფულზედ. თანხმანი იყვნენ შეწირულობაზედ შემდგომი მღვდლები: თავმჯდომარე მ. ვარდიევი, დეპუტატები: პ. შიუკოვი, მ. მირიანოვი, ი. მრევლოვი, გრ. თუშუროვი, ს. ტოპოლაშვილი და ი. ბიბილაუროვი. უარს აცხადებდნენ: გ. მრევლოვი, ა. ბაღაევი, ლ. ბერიევი, ვ. როსტომოვი, დ. ქიტიევი, გ. ახმეტელოვი და სოფ. ფირანოვი. რომ მომეტებული ხმა შეწირულობის მხარეს ყოფილიყო, საჭირო იყო, რომ ერთს დეპუტატსაც თანხმობა გამოეცხადებინა. შემდეგ დიდის ხნის რჩევისა, ახსნისა და დარიგებისა ძლივს გაბედა დათანხმება გ. მრევლოვმა, ვითომც სამღვდელოთ სარგებლობისათვის თავგაწირულმა. შემდეგ ამისა დანაშთენი უარის მთქმელნი დეპუტატები შეიყარნენ და უნდოდათ თავიანთი აზრი საკუთრად წარედგინათ თავმჯდომარისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს მღვდელ-მთავარისათვის, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, პასუხის დაწერა ვერ მოასხერხეს, თუმცა ბევრმა ამათგანმა სცადა კალმის ხელში აღება. ამისთანა შემთხვევამ ბევრი თავსატეხი აღძრა მათ მოპირდაპირეთა შორის, რომლის შემდეგ იგრძნეს ყველამ თავიანთი კერპობა და დათანხმდნენ. მართალია ჯერ ეს თანხმობა იყო სიტყვიერი, და დეპუტატებსაც მაინც ეტყობოდათ გაუბედაობის ნიშანი. ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც ყრილობის ოთახში შემოვიდა ადგილობრივი ბლაღოჩინი სოლომონ ფირანოვი. ამან მოსვლისავე უმალ, დაიწყო ლაპარაკი დეპუტატებთან იმ ხმით, სიბეჯითით და დარწმუნებით, რომ გარეშე მსმენელს ეგონებოდა, რომ მართლა ამან იცის ყოველივე ნამდვილი სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ, მისი ნაკლულევანება თუ სისრულე. ამის აზრით ა) სხვა უფრო საგრძნობელი ნაკლულევანება აქვს სასწავლებელს, ვიდრე ის რაც მმართველობას წარმოუდგენია; ბ) შეიძლება ყველა საჭიროება ეკლესიის ფულიდგან შეივსოს და სამღვდელონი განთავისუფლდნენ მომეტებულის ხარჯიდგან. დეპუტატები დიდის ყურადღებით ისმენდნენ ამის საუბარს, რომელსაც მიზნად ჰქონდა სასწავლებლის ზარალი, მასუბრის აზრით კი, ვითომ დეპუტატების და სამღვდელოების სარგებლობა. იქნება მართლაც თითქმის კარგად გათავებული საქმე სრულებით ჩაეშალა იმის თავგამოდებით და გულ აღელვებით საუბარს, თუ რომ ამ დროს თავმჯდომარეს არ ეთხოვნა სასწავლებლის ზედამხედველისათვის, რომ ამას მიეცა პასუხი ბლ. ფირანოვისათვის, რადგან ეს უკანასკნელი თავის ლაპარაკით ცდილობდა ყველა იმ საბუთების დარღვევას და გაუქმებას, რომლის ძალითაც საჭიროების შევსებას და აღსრულებას ითხოვდა სასწავლებლის მმართველობა სამღვდელოთ ყრილობისაგან. როდესაც ზედამხედველს გადასცეს, თუ რა იყო მიზეზი მისის მოწვევისა და რა ნაირად ლაპარაკობდა ბლაღ. ფირანოვი, მაშინ იმან პირ-და-პირ უთხრა ბლაღოჩინს, რომ „უკეთესი იქნება, მამაო, რომ იმ საგანზედ დაბეჯითებით არა სთქვა რა, რომელიც თქვენ თვით არ იცით და რომელზედაც თქვენს სიცოცხლეში ბეჯითად არ გიფიქრიათ. იქონიეთ სახეში, რომ თქვენ აქ ლაპარაკობთ საზოგადო და არა კერძო პირის საქმეზედ; თუ რომელსამე კერძო პირის ჯავრი გჭირთ, თქვენ შეგიძლიანთ იმასთან იქონიოთ საქმე და იმის მიზეზით დაბრკოლება არ მისცეთ საზოგადო სასარგებლო საქმეს. თქვენ გიბძანებიათ, ვითომ სასწავლებლის მმართველობა იმისთანა საგნებისთვის გთხოვთ შეწირულობას, რომლებიც ძრიელ საჭირონი არ არიანო. დიდს სიკეთეს გვიზამთ და მადლობასაც გარდაგიხდით, თუ რომ გვაჩვენებთ მათზედ უსაჭიროესს საგნებს სასწავლებლის წარმატებისათვის. (ბლაღოჩინს ენა მოეკვეთა). ან შეგიძლიან კი სთქვათ მოკლედ ამ მღვდლების წინ, თუ, სასწავლებლის გარდა, რომელი საგნები ანუ საქმენი ეკუთვნიან სამღვდელოთ ყრილობის განხილვას? მე ვფიქრობ, რომ თქვენთვის ამ კითხვის საგანნი სრულებით უცხონი არიან და ამაზედ მსჯელობით თქვენ თუ თავს არ დაიმცირებთ და პატივს არ მოიკლებთ თქვენ თუ ძმებთა შორის, მგონია, ვერაფერს შეიძენთ. შეიძლება ზოგიერთმა დეპუტატთაგანმა იფიქროს, ვითომც თქვენ იცოდეთ რამე ნამდვილი და საფუძვლიანი სასწავლებლის სისრულისა და ნაკლულევანების შესახებ. შეიძ-

ლება ასე იფიქრონ იმის მიხედვულობით, რომ თქვენ როდესმე ყოფილხართ სასწავლებლის მმართველობის წევრად (მგონია 1869—1873) და ამასთანავე სცხოვრობთ ქალაქშივე. რომ ყველამ ქალაქის მცხოვრებმა და მათში თქვენცა არ იცის სასწავლებლის საქმე, ამას დამტკიცება არ უნდა და რაც შეეხება თქვენს წევრობას, შემიძლიან გაბედვით მოგახსენოთ თქვენი მოქმედება 1871 წლამდის, ესე იგი, იმ დრომდე, როდემდისაც თვით ვიყავი თქვენთან ერთად სასწავლებლის მმართებლობაში მონაწილე. მგონი გახსოვთ, რომ სასწავლებლის კანონებს მე თვით ძალად გასწავლიდით და თქვენს უფლებას გიხსნიდით, რომ რა არის იმით მაინც შეგეტყოთ ახალი კანონები და მათგან მონიჭებულნი უფლებანი. საუბედუროდ თქვენს წევრობას და ჩემს შრომას, როგორც თქვენის ლაპარაკიდგან სჩანს, სრულებით ნაყოფი ვერ გამოუღია. რაც შეეხება ეკკლესიების შეწირულებას, უნდა გითხრათ, რომ დეპუტატებმა კიდეც შეაწირეს ეკკლესიებს ფული, მაგრამ ეს ფული საკმაო არ არის სასწავლებლის საჭიროების დასაფარავად და ამისათვის მღვდლებმა თავიანთ ფულიდგან უნდა შესწირონ და შეავსონ ნაკლი." ამაზედ ფირანოვმა უპასუხა ზედამხედველს, რომ საჭირო ფული გაეწერონ საბლაღოჩინოებზედ და თვითონ ბლაღოჩინნები გაანაწილებენ მღვდლებზედ და შეაგროვებენ კიდეც ამ ფულს." ერთმა დეპუტატთაგანმა უპასუხა, რომ ბლაღოჩინებს თავის დღეში არ მივანდობთ ფულების გაწერასაო, რადგან ვიცით, თუ აქედამ რამდენი ბოროტ მოქმედება შეიძლება მოხდეს ბლაღოჩინების მხრითაო." ამის შემდეგ ფირანოვი ჩაჩუმდა და თავის გზა მონახა. აღმოჩნდა, რომ ამ საუბარმა მოწინაამდეგე დეპუტატებზედ კარგად იმოქმედა, რადგან ყველამ ბეჯითად გამოთქვეს თავიანთი თანხმობა შეწირულობაზედ, თუმცა იმათ ჯერ მაინც არც ერთი მუხლი თავიანთის განჩინებისა ჯერ არც კი დაეწერათ. მაგრამ რაცა სთქვეს სიტყვით, ისევე დასწერეს მერე ქაღალდზედაც მაშასადამე სამღვდელოთ მიიღეს ყოველივე საქმით დადებული ხარჯი, რომელიც შესდგებოდა შემდეგისაგან:

| | |
|---|---|
| 1) ჯამაგირი მოსამზადებელის კლასის უმაღლესის განყოფილების მასწავლებელისა — | 500 მ. |
| 2) ამ კლასის ვეჯით მოწყობილებისათვის — | 100 მ |
| 3) ჯამაგირი სასწავლებლის მმართვ. მწერალს | 100 მ. |
| 4) სასწავლებლის ეზოს გარშემო ქვითკირის გალავნისათვის — — — — — — | 316 მ. |
| 5) ქირა პანსიონერების სახლისათვის — — | 200 მ. |
| 6) მოსამატებლად ხარჯისა სახელმწიფო მოსწავლეთათვის 13 სრულის ულუფისა და 13 ნახევარ ულუფისა, თითოზედ 40 მ. და სრულიად — — — — — | 1,040 მ. |
| 7) პანსიონერების სახლის და კლასის ოთახების გასათბობად — — — — — | 100 მ. |
| 8) ამ ოთახების ვეჯისათვის (სტოლები, შკაფები, კრაოტები, ლოგინი) — — — | 200 მ. |
| 9) ჯამაგირი მზვარეულს 8 მ. და სამს მოსამსახურეს ხუთ-ხუთი მანეთი — — — | 276 მ. |
| 10) ჯამაგირი ერთს ზედამხედველს — — — | 200 მ. |
| 11) ავათ-მყოფ მოსწავლეთათვის — — — | 100 მ. |
| 12) სამზარეულოს ვეჯისათვის (პლიტა, ქვაბები და სხვ.) — — — — — — | 75 მ. |
| 13) ვეჯი პურის საჭმლის ოთახისათვის — | 15 მ. |
| 14 სუფრის ვეჯი (სალფეტკები, დანა-ჩანგალი, თეფშები და სხვანი) — — — — — | 37 მ. |
| სრულიად | 3,259 მ. |

ამ საჭიროების შესავსებლად სამღვდელოთ გარდასწყვიტეს, ა) რომ ეს 3,259 მ. განაწილდეს სასწავლებლის ოლქის ეკკლესიების კრებულზედ (შესაფერს მონაწილეობას იღებენ მთავრები და მეფსალმუნენიც), რომელთაც ეს ფული უნდა შეავსონ თავიანთ ჯამაგირიდგან, ბ) ხოლო ეკკლესიებს შეაწერეს ფული ქვემორე ნაჩვენების სახით:

| | |
|---|---|
| 1) აწყურის წმ გიორგის ეკკლესიას — — | 800 მ. |
| 2) ფშავლის წმ. გიორგის — — — — — | 500 მ. |
| 3) გავაზის წმ. გიორგის — — — — — | 100 მ. |
| 4) ალავერდის სობოროს — — — — — | 50 მ. |
| 5) ვაქირის იოანე ნათლის-მცემლისას — — | 50 მ. |
| 6) ზემოხოდაშნის წმ. გიორგისას — — — | 40 მ. |
| 7) ბოდბის ღვთის მშობლისას — — — — | 30 მ. |
| 8) ბოდბის მიძინებისას — — — — — | 20 მ. |
| 9) ანაგის მთავარანგელოზისას — — — | 100 მ. |
| 10) დედოფლის წყაროს წმ. ილიასას — — — | 50 მ. |
| 11) ჯუგაანის ჯვარ პატიოსნისას — — — | 20 მ. |
| 12) მატნისას — — — — — — — — | 25 მ. |
| 13) თიანეთისას — — — — — — — — | 30 მ. |
| 14) ბოდავის წმ. გიორგისას — — — — | 50 მ. |
| სრულიად | 1,865 მ. |

ამ სახით გარდაწყვეტილება დასდეს იმ სამს საგანს, რომლებიც ეკუთვნოდა სამღვდელოთ ყრილობის განხილვას, დარჩა მხოლოდ გაუთავებელი ერთი საქმე რომელიც შეეხებოდა სასწავლებლის სახლების განშენებას. ამ საგნის პასუხად ყრილობამ დასდო: რადგანაც სამღვდელოებამ ერთბაშად შესწირა 3,259 მან. სასწავლებლს და ამის შემდეგ სასწავლებლის შენობის გასამშენებლად ხარჯს სამღვდელოება თვით ველარ იკისრებს, ამისგამო გსთხოვთ მღვდელმთავარსა ნება მისცეს სასწავლებლის მმართველობას, რომ ამ უკანასკნელმა სასწავლებლის გასამშენებლად საქმით დანიშნული ფული გამოსთხოვოს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორასა **(Грузино-Имеретинская Синодальная Контора).** ყრილობამ კიდევ განიხილა სამი სხვა საგანი, მოსამზადებელის კლასის მასწავლებლის დ. ბერძენოვის ჯამაგირის მომატებაზედ და ბლაღოჩინის ი. ბედიევასა და

საქართველოს
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

მღ. ლ. ბერიევისა ჯარიმის ფულის გადახდიდგან განთავისუფლებაზედ. ყრილობამ სამივეს უარი უთხრა, პირველს შეუძლებლობის გამო, ხოლო ორს უკანასკნელს იმ მიზეზით, რომ იმათი თხოვნა სამღვდელოთა ყრილობის განხილვას არ ეკუთვნის. კეთილი ნაყოფი ამ ყრილობისა ის იყო, რომ სეკტემბრიდგან 1876 წ. სასწავლებელთან გაიხსნა როგორც უმაღლესი განყოფილება მოსამზადებელის კლასისა საკუთარის მასწავლებლით, ეგრეთვე პანსიონი სახელმწიფო და თავიანთ ხარჯზედ ასაზრდელ მოწაფეთათვის. კეთილი სურვილი თავმჯდომარისა და მასთან თანა მოაზრე დეპუტატებისა, რომელთ შემწეობითაც ესე სასარგებლოდ გათავდა აწინდელი ყრილობა, სხვათა შორის იქიდგან სჩანს, რომ ამით აღნიშნული ზემოთ 3,259 მ. სულ თავიანთ ჯიბიდგან შესწირეს, როდესაც ამათ სრული უფლება ჰქონდათ ეს ფული შეეკრიბათ ეკლესიების შემოსავლიდგანაც. აი რა წყაროებიდგან შეკრიბეს ეს ფული: 2,535 მ. საეკლესიო კრებულთ გაიწერეს, ხოლო დანაშთენი 924 მ. შეავსეს: 257 მანეთიდგან, რომელიც 19 სეკტემბრის 1875 წ. განჩინების ძალით უნდა წარედგინათ თბილისის მოვაჭრეთ ბანკში 1875 წელშივე; 317 მანეთიდგან, რომელიც უნდა დარჩომილიყო იმავე ფულიდგან 1876 წელსა და 349 მ. და 67 კ., რომელიც დარჩა მოსამზადებელის კლასის მასწავლებელის ჯამაგირიდგან 1875 წელს. რაც შეეხება ეკლესიებზედ გაწერილს 1,865 მ., ამისთვის სამღვდელოებას არავითარი დანიშნულება არ მიუცია, იმ განზრახვით, რომ მომავალის წლისათვის ჰქონოდათ შემოსავალის წყარო, რადგან თვითონ მიიღეს ზემორე ნაჩვენები ხარჯი მხოლოდ ერთის წლობით. ამისავე მიზეზით დასდვეს სასწავლებლის შესაწირავად 20% ყველა სასწავლებლის ოლქის ეკლესიებიდგან წლისა და წლის შემოსავლიდგან. თუ ვითარს დანიშნულებას მისცემს ამ ფულს მომავალი სამღვდელოთ ყრილობა და როგორ ისარგებლებს იმით, ამას ვიხილავთ შემდგომის ყრილობის აღწერიდგან.

(შემდეგი იქნება)

. . . . .

## ისტორიული სიგელნი.

ქვემო-მოყვანილი წერილი სოლომონ მსაჯულისა ჩვენ მივიღეთ უფ. ილია ჭყონიასაგან, რომელიც სოლომონ მსაჯულის წერილისა გამო ჩვენ გვწერს შემდეგსა:

„ვგზავნით პირს ბარათისას სოლომონ მსაჯულის, ანუ როგორც თვით ჰსწერს, მდივანბეგისაგან ზურაბ წერეთლისადმი (სახლთ-უხუცესი სოლომონ II) მიწერილს. იმედია რომ თქვენ უკეთ უნდა გესმოდეთ ის მნიშვნელობა, რაიცა ჰქონდათ ზემოდ მოხსენებულ პირებსა უკანასკნელ დრამაში საქართველოს ისტორიისასა, და მაშასადამე ის ხასიათიც, რომელსაც აღძრავს ეს ბარათი სოლომონ მსაჯულისა მის წამკითხველთა შორის. მივიღე რა ყველაფერი ესე მხედველობაში, წარმოვგზავნე მოხსენებული წერილი თქვენდამი და მაქვს იმედი რომ იგი დაბეჭდილი იქმნება „ივერიაში“ 22 №-ში თუ არა 23-ში მაინცა....

უნდა მოგახსენოთ რომა ეს პირი გარდმოწერილია თვით სოლომონ მსაჯულის ხელნაწერისაგან, რომელიც მე ვნახე ერთ თავადიშვილის ოჯახში...

გარდა ამისა მე შემიძლია გადმოვწერო და გამოგიგზავნოთ, თუ რედაქციას დასჭირდება . . . .
. . . . . . . . . . . . . . . ; .
ქართველი გაზეთები, რიცხვით ხუთი ნომერი.

პირველს ჰქვიან „ქართული გაზეთი,“ რომლის სივრცე საწერი-ქაღალდის ფურცლის ოდენაა. გაზეთის ქაღალდი სქელია, ლურჯი ფერისა. ამ გაზეთის მე 12, 20, 40 და 46 მაქვს. მეთორმეტე № სათაურის შუა დახატულია წმ. გიორგი და იქით-აქეთ აწერია „ქართული გაზეთი“ მარტის 25 დღეს 1821 წელსა. დანარჩენს ნომრებს წმ. გიორგი არ უხატია. გაზეთებს არ აწერიათ რამდენჯერ გამოდიოდა. არც რედაქტორის სახელი და გვარი აწერია. მეორე გაზეთს ჰქვია „ტფილისის უწყებანი.“ ამის სივრცე საწერი-ქაღალდის ფურცელი რომ შუაზე გავკეცოთ იმოდენა იქნება. ამ გაზეთის მარტო პირველი № მაქვს, რომელიც, როგორც ზევით აწერია გაზეთს, სამშაბათობით გამოდიოდა; ხოლო სალიტერატურო დამატებაანი თვეში ორჯერ. მართლ-წერა ანტონი კათოლიკოზის კანონების მიმართულებისაა. გაზეთი დამატებანითურთ ღირს 8 მანეთი. ჩემი №-ი 1832 წელშია გამოცემული.

---

პირი დედანიდამ.

I

მათს ბრწყინვალებას

ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს

სულითა ერთგულებისათა მოვისწრაფი, პასუხის გებად წერილისა თქვენისა, ოდესაც მივიღე წერილი, მოწვევისა ქორწილსა შინა კარგისა გრიგოლისა. იცის ბრწყინვალებამან თქვენმან სიყვარული ჩემ მიერ მისი, და ვითარ

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

უცოდნელად მოვისწრაფებდი, და დროსა მას მივიღე წერილიცა მეფისა მოსვლათ მათდამი, გარნა დამაბრკოლებელ ჩემდა იქმნა უძლებობა მცირედ ჟამ ცხელებისა, და წერილიცა იგი თქვენ მიერ უბეჭედო და ხელი გრიგოლ..სა, იქვეულ მეოფდა რომელ სახელსა ზედა მამისა თვისისასა მომწერა მან საკუთრებითა ძმათ მოყვარებისათა, რომელსაცა მივართვი წერილი შესაბამისა პასუხისა; და ვითარ წერილი ესე თქვენი ჩემდა უღირსითა მოწყალებითა აღმითქვა მან მე, რომელ დიდებულ ძეგ ოჯახი თქვენი სახლ-სავანე—ნუგეშის მცემელ და მფარველ ჩემდა იყოს, დარწმუნებული მქნადსა დავამტკიცებ ქნილითა; ოდესაც ინება განზრახვამან სამღვთომან, დადგა ფერხთა ჩემთა უცხოებასა შინა, საჭირვებნი რომელნიცა სდევენ კაცსა ყარიბსა უცხოთა თემთა შორის განვიქარვებდი ფიქრითა ამით, სახლი—უცხოთ მოყვარებისა თავადსა ზურაბს განუკაზმავს კეთილ მსახურებითა და გონება მისი საკურთხეველი ღვთისა განადევნის დამჭირნებასა უცხოებისა ჩემისასა; და გისილე რა სხვა ჭავას ყოფასა შინა ჩემსა მიწვეულმან თქვენ მიერ დაწერისათვის წიგნსა ხელმწიფისასა, ვცან მაშინ მწუხარებაცა თქვენზედა მოწევნილი და უძლებად მყოფმან განმიცხადა ყოველი, უთხარ მე ფიქრსა ჩემსა. წუხს კაცი ესე მსგავსი თემისტოკლესა, კეთილის უმადლოთა და ბოროტის განმზრახველთა ერთგან, და რადა სარგებელ მყოფობა ჩემი აქა; თქმამან მწუხარებისა თქვენისამან მაშინვე—წარმიყვანა,—მფლობელისადმი ოდიშისა მგზავრობისთვის ზღვასა ზედაო არიან გზანი შენნი; და მუნით მოგწერეთ აზრი ჩემი მიმოხლილი ზვირთთაგან მღელვარისა ამის საწუთროსათა. მოველ რა აქა, სისტემა იგი შეკრულებისა ჩემისა თქვენდა მომართ არ ოდეს დამიხსნიეს მე, საფუძველი ცხოვრებისა ჩემისა დავსდევ თქვენ მიერ; იცის თვით უმაღლესობამან მისმან, და ვიმოწმებ თქვენთანა რომელ არა მივიღე არცა ერთი რაიმე თვინიერ თქვენსა; სიმდიდრე სახოებისა ჩემისა, შენ ხარ სამფლობელოსა ამას; და ვით შემძლებელ არს შეკრად ჩემდა ერთგულობისა თქვენისაგან, უკეთუ მიიღებ მოხსენებასა ჩემსა, უკეთუ შეიწყნარებ რჩევასა ჩემსა; უკეთუ გახსნი ნასკვსა ავთა ენათა და დედა ზარდლებთა ქსელთაგან შეხვანჭულსა; მე ღარიბი მდიდართა-თვის ვმობილვარ და უზაკველითა გულითა შემძლებელ ვარ თქმად უმჯობესისა სულისა და ხორცთათვის; სოფლისათვის ცრუსა და მართლისა უკვდავებისათვის გეტყვი წრფელ სულობითა, და უკეთუ არა ირწმუნებ მე რა ვყო. შენ კაცი ხარ და არა ღმერთი; გინდა რომ ცა და ქვეყანა შენს ფიქრზედ ბრუნვიდეს, ეი, ადამ არ იქნება; თუ კაი მონარდე ბრძანდები იაგანში დუშაში ითამაშე! რა გაჯავრებს, მართალია დიდი კაცი ხარ ათასი კვამლი გეყოლება, მაგრამ ქვეყნის ქარტა რომ არის დახატული თუ კაცი ხარ იმაში ან შენს სახხერეს იპოვნი და ან შენს სასახლეს მიაგნებ თუ სად ზიხარ და სად გძინავს. თურმე არა ჭყოფილხარ რა და რას დიდგულობ; ჩემი მოწყალე და დიდი ხელმწიფე დედა დადიანის ქალი (ჩემი პატრონი და მოწყალე) არას დროს არ დაგითხოვს, მაგრამ რას დროს თქვენი მად ყოფნა არის, ჭეშმარიტად თუ დაიჯერებდე, როგორც შეჩვეული ძაღლი ისე უკან დევნას დაგიწყებთ, მაგრამ დიდი კაცის დაჭერა ძნელია და პატარამ რა ქნას. მე ამ მაღალ კადნიერებას პავლეს სიტყვით ვბედავ სრულმან სიყვარულმან გარე განსდევნისო. შიში და სხვებრ ვგიე მარადის. *)

მრწყინვალებისა თქვენისა მონად
უმორჩილესი მდივანბეგი
სოლომონ.

ოქტომბრის ლ.
წელსა ჩუგ.

---

## II

### მცხოვრებნო საქართველოისანო

ოდეს სპარსელთ წარსრულს წელს უეცრად და უსამართლოდ შემოიტანეს სამძღვართა შინა ჩვენთა მძვინვარება ამაოხრებელისა ბრძოლისა თვისისა; თქვენ მფარვე-

---

*) ეს სოლომონ მსაჯულის წერილი დავბეჭდეთ იმავ მართლ წერით და ნიშნებით როგორც გადმოღებულია დედანიდგან.

ლობასა ქვეშე სარწმუნოებისა და სიმართლისასა დასდევით სასოება ძალსა ზედა რუსეთის საჭურველისასა, რომელსაცა უძლევის მარადის ღმერთი. პირველისავე მოწოდებისამებრ მმართველობისა, თვითოეულმან თქვენგანმან შესწირა თვისისა ქონებიდამ; და ვისაც შეეძლო თოფის აღება, შეიჭურვა: მთის ხალხთა ალაზნისა და არაგვის ზემო მხარეთა შინა, მიწის მომქმედთა ქართლსა და კახეთსა და ყოველგან მცხოვრებთა სოფლებთა და ქალაქებთათა და კეთილშობილთა თავად-აზნაურთა ლაშქრობის ღვაწლთა მოყვარულთა, ვითარცა ოდესმე იყვნენ მამა პაპანი მათნი, მოიხსენეს, რომელ რუსეთმან იშვილა იგინი და შეიქმნენცა ღირსნი. მაშინ ხელმწიფე იმპერატორმან წარმომგზავნა მე აქ რათა მონაწილედ ვიქმნე მე სახელოვანთა შრომათა შინა განსადევნელად მტრის შესაწევნელად თქვენდა.

მე ვიყავ მოხარულ, რომელ სული საქართველოს ერისა გავიცან თვით ველსა ზედა ბრძოლისასა.

აწ უმაღლესითა ნებითა მე ვარ დანიშნულ აქაურის მხრის მთავარ მმართებლად. ომი არა დასრულებულა. მოველი თქვენგან, რომელ ახლად იგულს მოდგინებით საზოგადოსა საქმესაზედა სჯულდებულის გამოსაღების და ბეგრის აღსრულებითა და ყოველისავე მის მოცემითა, რაიცა იქნების მოთხოვილ, რათამცა ყოველს ადგილ და მსწრაფლად აღსრულდებოდნენ ღონენი მხედრობის მოძრაობისათვის მისაღებელნი. მხედრობა იგი მივალს თვენისა განსვენებისა დამარღვეველთა პირისპირ; აწ მრწოდენ იგინი თვისის ქვეყნისათვის, ვითარცა თვით მოიწვენ მშვიდობასა ზედა თქვენის მშობლის მამულისა და სახლობისასა. მცხოვრებნო საქართველოისანო! ყოველნივე მხურვალედ განმხნევდით ერთითა გრძნობითა და ერთითავე გონებითა: ფასითა დიდ სულობითისა მეცადინეობისათა მოისყიდების მშვიდობა სახელოვანი და მტკიცე, მშვიდობა ესე დაეფუძნების და მაშინ მმართებლობას აღარ დასჭირდება ზრუნვა არა ვითარისამე გარეშე შიშისათვის შემწეობითა ღვთისათა აღმოჩნდებიან ახალნი უვრცელესნი საგანნი თქვენის კეთილ მდგომარეობისათვის. ფიცხელი აღრჩევა დამცველთა მართლ მსაჯულებისათა, სოფლებისა და ქალაქების მმართველობასა შინა, ესე ვითართა ნაყოფიერებათა შორის, რომელიცა მხარესა თქვენსა ბუნებისაგან უხვად წილხდომია, მეცადინეობანი წარმატებათათვის ვაჭრობისა ხელოსნობისა, სოფლიურის შრომისა და განათლებისა, თვინიერ რომელთაცა არა იქნების საზოგადოების სიმდიდრე, ესენი აღგიყვანენ თქვენ პატივცემულს ხარისხსა ზედა დიდის ხელმწიფის ჩვენისა სჯულთა ქვეშე განვითარებულის ერისასა. რუსეთის იმპერატორისათვის ყოველნივე ერთგულნი მისნი ქვეშევრდომნი თანასწორედ საყვარელ არიან.

საქართველოს მთავარ მმართებელი, ღენერალი ინფანტერიისა, ღენერალ ადიუტანტი პასკევიჩი.

აპრილის კთ დღესა
1827 წელსა
ტფილისს.

---

## IV

### წინასწარ დაწყობილება

შედგენისათვის ქართველთ ჯარისა

ა) შედგების ის ბატალიონებისაგან.

ბ) ბატალიონში ჩაიწერებიან ქართველნი საკუთარის თვისის სურვილით.

გ) მიიღებიან ისინი არა ნაკლებნი თვრამეტისა და არა მეტნი ოცდა ათის წლისანი; მაგრამ ფიცხელად დაცვა ამ კანონისა არ შეიძლება ახლა, არამედ მხოლოდ ეს ექმნება, რომ ჰქონდეს კაცს საკმაო ძალა და ღონე, რათა შეეძლოს პახოდი.

დ) განთავისუფლდებიან ისინი თვისის ცოლშვილით ყოველის გამოსაღებისა და ბეგრისაგან ჟამსა მათის სამსახურში ყოფნისასა.

ე) უნდა შეიკრნენ ისინი მხოლოდ იმ ჟამამდის სამსახურში ყოფნაზედ სანამდის სპარსეთთან ომი განგრძელდებოდეს, რომლისაც შემდგომად იქნებიან თავისუფალნი, რომ თავის სახლებში დაბრუნდნენ, ანუ სამსახურსა შინა საქვეყნოს ჯარში შევიდნენ.

ვ) განწესების ჟამს წაეკითხებათ მათ დიდის პეტრეს კანონის მუხლები, არტიკულები, რომელნიც მიეწერებიან დანაშაულისათვს დადებულთ გარდახდევინებათა, რომელთაც მიეცემიან ისინი სამხედრო კაცთან თანასწორედ.

ზ) მიიღებენ ისინი ფიცსა ერთგულად მსახურებაზედ.

ჱ) ამ კანონებით მიიღებიან ყოველნივე ვისაც სწადდეს, და მიეცემათ მათ ხაზინიდამ ულუფა, სრულიად დაწყობამდე პირველის ბატალიონის კადრისა.

თ) შედგენა ბატალიონისა.

| | |
|---|---|
| შტაბ-ოფიცერი | 1 |
| კაპიტანი | 2 |
| შტაბს-კაპიტანი | 2 |
| პორუტჩიკი | 4 |

პოდპორუტჩიკი . . . . . . . . . . 4
პრაპორსჩიკი . . . . . . . . . . 4
კაზნაჩეი . . . . . . . . . . 1
ადიუტანტი . . . . . . . . . . 1
ღარნისტი . . . . . . . . . . 4
ბარაბანშჩიკი . . . . . . . . . . 4
უნტერ-ოფიცერი . . . . . . . . . . 80
რედოვოი რიგში მდგომი . . . . . . . 800
ნესტროევოი ფურლეიტი რიგში არ მდგომი . . 40

ი) ოფიცრები დაინიშნებიან მხოლოდ მოადგილედ თვით კორპუსის კომანდირის მიერ, სიმარჯვისა, შემძლებელობისა და გულს მოდგინების გვარად თვითეულისა.

ია) საკუთრად განსხვავებისათვის თვითეულისა, იქმნებიან წარდგენილი ჯილდოისადმი, რომ ებოძოსთ მათ ნამდვილი პირველი ოფიცრის ჩინები.

იბ) ამას გარდა თვითოს ბატალიონის მბრძანებელი იქმნება შტაბ-ოფიცერი ანუ კაპიტანი ნამდვილის სამსახურისა, რომელიც უნდა იყოს გვარად ქართველთაგანი.

იგ) თვითოს ბატალიონში დაინიშნება მღვდელი და ლეკარი მცხოვრებთაგან.

იდ) თვითო ბატალიონი განიყოფება რვას ასად, სოტნად გინა დრუჟინად და სოტნი განიყოფება ათს ათად გინა დესეტკად.

იე) თვითოს ჯარის კაცს მიეცემა სასაზინო თოფი, სუმა ტყავის ქამრით, ოცდა ათი სროლა პატრონა და ათი ტალი.

ივ) თვითოს ჯარის კაცს უნდა ჰქონდეს საკუთარი თავისი ხანჯალი და მხარზედ ტილოს სუმა, ოთხის დღის პროვიანტის საზიდავად.

იზ) უნტერ-ოფიცრებს უნდა ჰქონდესთ ხანჯლის მაგიერათ ხლმები.

იჱ) ოფიცრებს უნდა ჰქონდესთ თვითო წყვილი დამბაჩა და ხმალიცა.

ით) ტანისამოსი:
ჩოხა მაუდისა ყომრალის ფერისა.
არხალუხი თალხის ლეინისა.
შალვარი თალხის ლეინისავე.
ქუდი ქართული.
ნაბადი.

კ) ყოველნივე ჯარის კაცნი მიიღებენ ჯამაგირს, ნამდვილს სასასხურში მყოფს სამხედროს კაცთან თანასწორედ.

კა) ტანისამოსის მაგიერად რედოვოი მიიღებს ერთს თუმანს თეთრს ფულს წელიწადში და უნტერ-ოფიცერი თხუთმეტს მინალთუნს, ამ თეთრით უნდა შეიკერონ თავისი ტანისამოსი იმ დრომდის, სანამდის მმართებლობა განკარგულებას იქმოდის, რომ ტანისამოსი მიეცემოდესთ მათ ხაზინიდამ.

კბ) ამ ჯარს მიეცემა კარვები.

კგ) ბატალიონებს მიუჩენენ პოლკებიდამ ბარაბანშჩიკებს და ღარნისტებს.

კდ) პროვიანტს მიიღებენ ნამდვილს ჯარებთან თანასწორედ.

კე პირველსავე შესაძლებელს ჟამს შემოიღებენ პროვიანტისა და კომისარიატის წიგნების ქონასა და მიეცემათ მათ ათის დღის პროვიანტი.

კვ) წიგნებისა და პროვიანტის მიცემის შემდგომ მოეჭრებათ მათ დღიური თეთრის ულუფა.

კზ) ავათ მყოფნი მიღებულ და შენახულ იქმნებიან სამხედროს ღოშპიტალებში.

კჱ) თვითოს დესეტკაზედ ანუ ათს კაცზედ მიეცემა ერთი საპალნის ცხენი, კარავი, ქვაბი და ორი ფუთი და ოცდა ხუთი ფუსთი სუხარი.

ორს დესეტკაზედ ერთი ნესტროევოი ანუ რიგში არ მდგომი კაცი.

ხუთს დესეტკაზედ ერთი ცული და ერთი ნიჩაბი.

თვითოს სოტნში ანუ ასს კაცში დაწესდება არტელი გინა ფსონი.

კთ) სამსახური:
უნდა იცოდნენ თვით აუცილებელად საჭირო ნაწილი იეგირის სწავლისა: ნიშანში სროლა, გაკეთება ოტდელენიებისა, კალონნებისა შესატევად და კარვებისა.

ყარაულში დგომა ყოველითურთ ჯეროვანად გაწყობილი.

არ შეაწუხებენ მათ სხვა და სხვა რიგად დაწყობით და გასწორებით.

ყოველზე უმეტესად მოეთხოვებათ მათ სრულიადი და უთუოდი მორჩილება ნაჩალნიკებისა.

კამანდის სიტყვები ეთქმისთ მათ ქართულს ენაზედ.

მიეცემათ მათ დიდის პეტრეს კანონის წიგნიდამ გამოწერილი სტროევოის სამსახურისთვისაცა, რიგში მდგომისა.

ტფილისს მაისის 24-სა 1827 წელსა

მბრძანებელი საქართველოსა შინა ჯარებისა, ტფილისის ვოენნის ღუბერნატორი, ღენერალ-ადიუტანტი
სიპიაგინი.

---

## ტ ი რ ა ჟ ი

გირავნობის ფურცელთა მიხაილის აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში.

24 ივნისს, 1900 მანეთის

2 სერიის $18^{7}/_{12}$ წლიანის

1000 მანეთიანი ბილეთი . . . . № 24.
500 —— —— . . . . . . . № 5.
100 —— —— . . . . . . № № 67, 87, 98 და 129.

ტირაჟში გამოსულის ფურცლების და კუპონების ფული მიიღება ბანკში და ვინეკენის და კამპანიის კანტორაში პეტერბურღს.

---

# ბ ა ლ ა ნ ს ი

## მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში.

### 1877-ის წლის 1-ს ივლისს

აქტივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| 1. | გრძელ-ვადიანი სესხი გაცემული: | | |
| | სოფლის მამულებზედ, $43^{1}/_{2}$ წლით | 11,400 | ,, |
| | ქალაქის ———, $18^{7}/_{12}$——— | 119,500 | ,, |
| 2. | მოკლე ვადიანი სესხი | 98,637 | ,, |
| 3. | უკუ-მოსაქცევი ნახარჯი | 137 | 87. |
| 4. | მიმომავალს ანგარიშსზედ მიბარებული: | | |
| | თფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში. | 694 | 61. |
| | ——— საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | 72,057 | 52. |
| | ——— სავაჭრო ბანკში | 31,500 | 08. |
| 5. | გირავნობის ფურცელნი გასაყიდლათ მობარებულნი | 106,980 | 24. |
| 6. | სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები: | | |
| | თფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში (24450) | 22,950 | ,, |
| | ბანკის კასსაში (85,800) | 81,800 | ,, |
| | % მათზედ 1-ს ივლისს 1877-ის წლისა 1,686 მ. 17 კ. | | |
| 7. | ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებში მიცემული | 1,620 | ,, |
| 8. | გასავალი ბანკისა: | | |
| | მმართველობისა და ჯამაგირთათვის | 18,658 | 17. |
| | მოწყობისა და დადგენისათვის | 2,627 | 36. |
| 9. | სხვა და სხვა დებიტორი. | 2,249 | 60. |
| 10. | კასსაში ნაღდი ფული | 5,047 | 88. |
| 11. | ვალი კ. ს. ა. | 33,295 | 80. |
| 12. | დერბის ფული | 106 | 40. |
| | ჯამი | 609,262 | 53. |

პასსივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| 1. | ძირის თავნი: | | |
| | შემოტანილი | 404,970 | 30. |
| | შემოსატანი | 32,765 | ,, |
| 2. | გირავნობის ფურცელნი გაცემულნი. | | |
| | $43^{1}/_{2}$ წლიანი | 11,400 | ,, |
| | $18^{7}/_{12}$——— | 119,500 | ,, |
| 3. | თავნის მოსაშორებელი ფონდი: | | |
| | $43^{1}/_{2}$ წლისა | 36 | 93. |
| | $18^{7}/_{12}$——— | 176 | 02. |
| 4. | სარგებლის ფონდი | 4,379 | 05. |
| 5. | სარგებელი მოკლე ვადიანის სესხისა. | 4,343 | 89. |
| 6. | წლიური შემოსავალი | 1,095 | 75. |
| 7. | დროებითი შემოსავალი | 3,156 | 12. |
| 8. | სხვა და სხვა სარგებელი. | 20,439 | 10. |
| 9. | გარდასაცემი ფული | 4,890 | 47. |
| 10. | ტირაჟში გამოსულნი გირავნობის ფურცელნი | 1,900 | ,, |
| 11. | სხვა და სხვა კრედიტორი. | 108 | ,, |
| 12. | აგენტი ბანკისა | 101 | 90. |
| | ჯამი | 609,262 | 53. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Августа 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე